თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3782343

ნომერი: AR1569222

თარიღი : 09.01.2018

გაცემის თარიღი : 17.01.2018

გაცნობის თარიღი : 18.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გამრეკელი , N 23 , მიმდებარედ ნაკვეთი 25/162;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ქამუშაძე პ/ნ 01030028695
- თბილისი, არჩილ ქურდიანის ქ. #19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 09 იანვარს №AR1569222 განცხადებით მომართა ალექსანდრე ქამუშაძემ და მოითხოვა სამსახურის 2014 წლის 27

აგვისტოს №1452832 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გამრეკელის ქუჩა #23 ის მიმდებარედ (ნაკვეთი 25/162), მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.02.025.162), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და 2014 წლის 30 ოქტომბრის №1564905 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 თებერვლის №3103913 ბრძანებით მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2017 წლის 17 ოქტომბრის №3601131 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 907.0 კვ.მ, საერთო ფართობად 1278.2 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ამავე ბრძანებაში ცვლილების შეტანას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით კერძოდ: დამხმარე ფართობის - 204 კვ.მ-ის ამოღებას, საცხოვრებელ ფართობად 907.0 კვ.მ-ის ნაცვლად 766.46 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 97.5 კვ.მ-ის ნაცვლად 72.39 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 1278.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1112.55 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ვბრძანებ:
1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: ამოღებულ იქნეს დამხმარე ფართობი - 204 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 766.46 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 72.39 კვ.მ, საერთო ფართობად 1112.55 კვ.მ;
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.